წელიწადი 1-ლი. გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი ივნისს 28 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი სტრიქონი 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ორჯერ ძვირი. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამი ... 2 მან. ... 3 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 65 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 65

მეხ დაცემული მეუღლე მარიამ (მაშო) კონსტანტინეს ასული დები მარიამ ივანეს ასული თავზარაშვილისა, ნინო ივანეს ასული ჰაჰიაშვილისა, ძმა ალექსანდრე ივანეს ძე მხეიძე შვილებით, სიმავრი კონსტანტინე დავითის ძე ლორთქიფანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას.

## სეფე ივანეს მის მხეიძისას.

რომლის დაკრძალვა მოხდება 30 ივნისს დღით პარასკევს ნაშუადღევს 4 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, თბილისის ქუჩა ერისთვის სახლ. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

---

თომა სამსონის ძე მაჰავარიანი და მეუღლე მისი ანნა კოსტანტინეს ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარი

## სეფე ივანეს ძე მხეიძისა

რომლის გამოსვენება მოხდება 30 ამა ივნის დღით პარასკევს ნაშუადღევის ოთხ საათზე თბილისის ქუჩა, ერისთავის სახლიდან მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში.

---

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

## 1917 „საქართველო" 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო"**

---

# ხელის მომწერთა — — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

## სატასტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



ოთხშაბათს 28 ივნის გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო რეპერტუარისაგან. მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობები.

39 დღეა ქალთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს იჭიდავებს 3 წყვილი 1. დჟოი-მორა და კარის კაცი სინიავსკი ჭიდაობის ვადა 20 წამი. სინიავსკიმ გამოიწვია დჟოი-მორა ივნისის 26, მაგრამ, რადგანაც დჟოი-მორა თბილისს გაემგზავრა, ჭიდაობა იქნა გადადებილი ივნისის 28. 2. ბელანი და აზელკროკი. 3. რივრიკი და სულეიმანი. დასაწყისი წარმოდგენისა 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

**ანონსი:** მზადდება გრანდიოზული ბენეფისი ქალთა ჩემპიონატისა: მელნიკოვის და ნორეიკის. აგრეთვე მზადდება ბენეფისი კლოუნებისა ფლორენსის და კრისტის

---

# დღეს:

**წერილები:**

გ. წერეთელი—საქართველოს საარჩევნო უფლება წაართვეს.

ტრ. ჯაფარიძე—საჩქარო საქმე.

სანტ.—კრების გამო.

.ნ. ჟურნოვი—დროებით მთავრობის აქტი საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. დადგენილება ეროვნულ კითხვის შესახებ. უკანასკნელი ამბები. რუსეთი. უცხოეთი. საზარელ მკვლელობის გამო. ქუთ. აზნოების ვითარება. მოწერილი ამბები. ახალი ამბავი.

---

ელექტრო **„ამპირ"** თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივნისის 26, 1917 წ. ნაჩვენები იქნება დრამა 5 ნაწ. სცენარიუს ანატოლია კამენსკის მეოხებით.

**ფიალა აკრძალული სიყვარულისა**

უმთავრეს როლებში მონაწ. ვ. ვ. მაკსიმოვი, მ. კასაროვა და ი. ნ. ხუდოლეევი ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

---

# ეროვნულ-დემოკრატიულ

## პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში

(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

---

ოთხშაბათს 28 ივნისს, საღამოს 7 საათზე. შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო

# კრება

**განსახილველია:**

1) განხილვა და დამტკიცება წარსული სამოქმედო წლის ანგარიშისა;
2) მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

---

ელექტრო **„რადიუმ"** თეატრი

ივნისის 26, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი გამოჩენილ მსახიობების მონაწილეობით: ვ. ა. კარალის, ვ. ა. პოლონსკის, ა. დ. რინდინის და ნ. პერესტიანის.

## შურის მიება

მხატვრული დრამა 5 ნაწ.

**მილიონერი ერთი საათით**

სახუმარო, 2 ნაწ. მონაწ. გამოჩენილ იტალიის მსახიობისა რუდოლფის.

---

## ს. სიქთარუაში (შორაპ, მაზ.)

გაიხსნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური

# კლუბი.

წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საალამოს 8 საათამდე.

სიქთარუის კომიტეტი.

---

იბეჭდება და მალე გამოვა
ნარკვევი
**ტიტე მარგველაშვილისა**
**საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის.**

---

## გამოცდილი — მასწავლებელი

(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

---

ექიმი **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტემანსკის სახლი

---

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

---

# საქართველოს საარჩევნო უფლება წაართვეს.

კოკოშკინის კომისიამ რომელმაც რუსეთი საარჩევნო ერთეულებად დაანაწილა, ამიერ-კავკასია ერთს საარჩევნო ოლქად გადააქცია!

გაზეთები სწორ ცნობას არ გვაძლევენ, მთელ კავკასიას ეყოლება თუ მარტო ამიერ-კავკასიას 35 დეპუტატი დამფუძნებელ კრებაში.

დაღესტანი შეუერთდება თერგის ოლქს, შავი ზღვის გუბერნია ყუბანის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიას, კავკასიის დანარჩენ გუბერნიები და ოლქები კი—ერთად იქნებიან.

ამრჩევლები მისცემენ ხმებს პარტიულ სიებს. მიცემულ ხმათა რაოდენობანი თბილისში შეიკრიბებიან, დაითვლებიან და განაწილდებიან. და რომელ პარტიასაც მეტი ხმა მოუვა, მასვე მეტი დეპუტატი ერგება.

წარმოვიდგინოთ, რომ თურქებს ორჯერ მეტი ხმა მოუვიდათ, ვიდრე ქართველებს, მაშინ მათ ორჯერ მეტი დეპუტატი ეყოლებათ.

მაგრამ, ცხადია, რომ ეს—დიდი უსამართლობაა. ჯერ ერთი, ამ ომში აუარებელი ქართველი, რომელსაც ხმა ჰქონდა, გაწყდა, ბევრი ტყვედ არის წაყვანილი და კიდევ უფრო ბევრი დასავლეთის ფრონტზეა გაბნეული. მამასადამე, საქართველოს თითქმის ნახევარი თავისი ხმებისა ეკარგება.

მეორე, საქართველოში მოხუცთა და ქალთა გარდა სრულწლოვანი ცოტაღა დარჩა, მოხუცთა და ქალთაგან კი, რომელთაც მთელი საოჯახო მუშაობა აწევსთ ზურგზე, ცოტა მივა საარჩევნო ყუთებთან.

მაშასადამე, საქართველოში საარჩევნო ხმა ცოტა დაითვლება, ამიერ-კავკასიის თურქები კი ამ მხრით გაცილებით უკეთეს პირობებში არიან.

ამგვარად კოკოშკინის კომისიამ ხელოვნურად შეამცირა საქართველოს წარმომადგენელთა რაოდენობა, ე. ი. არ მიანიჭა საქართველოს ის, რაც სამართლიანად ერგება.

მეორე უსამართლობა კიდევ ის არის, რომ, ხმები მხოლოდ პარტიებს შორის იქნება განაწილებული. ავიღოთ, მაგალითად, სოხუმის ოლქი.

ამიერ კავკასია რომ პატარა საარჩევნო რაიონებად ყოფილიყო დანაწილებული, უეჭველია, ამ ოლქსაც ეყოლებოდა დამფუძნებელ კრებაში ერთი დეპუტატი მაინც, რომელიც ადგილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა შესახებ ხმას ამოიღებდა, სულ ერთია, რომელი პარტიისაც კი უნდა ყოფილიყო ის. დღეს კი, რასაკვირველია, ვერც სოხუმის ოლქი და ვერც მასზე უფრო დიდი საარჩევნო ერთეული დეპუტატს ვერ მიიღებს.

და, ვფიქრობ, რომ მთელ საქართველოს სამ ან ოთხ დეპუტატზე მეტი არ შეხვდება.

ვისთვისღა არის სასარგებლო ამ გვარი საარჩევნო ცენტრალიზაცია?! სომხებისთვისა და რუსებისთვის, რომელნიც ამიერ კავკასიაში მიჯრით არა ცხოვრობენ, და თურქებისათვის, რომელთაც ყველა სრულწლოვანი მოქალაქე შინა ჰყავსთ,

დასასრულ, პოლიტიკურ—ეკონომიური ცხოვრების პარტიულ ჩარჩოში ჩასმა და შევიწროება განა შესაძლებელია? არა, ბატონებო, ცხოვრება რთულია და პარტიობით ვერ გარეშე იწერება! მაგალითად, მე, ქართველს ეროვნულ-დემოკრატს მირჩევნია მყავდეს დამფუძნებელ კრებაში ქართველი სოციალ-დემოკრატი, ვიდრე სომეხი ან რუსი ეროვნული-დემოკრატი.

და, ცხადია, პროპორციული არჩევნები მხოლოდ მაშინ იქნებოდა კარგი, თუ თვითეულს პატარა კუთხეს თავისი დე-

პუტატების არჩევის უფლება ექნებოდა!

ამგვარად, საქართველოს, საერთო სახელმწიფოებრივი საქმისათვის ამდენი სხვერპლის შემწირველსა და სისხლისაგან დაცლილს, დამფუძნებელ კრებაშიაც კი აღარ უთმობენ შესაფერ ადგილს!

და, უეჭველია, ჩვენი ეროვნული შეგნება რომ კლასთა უკიდურეს ბრძოლას' არ გაენელებია, ჩვენს საცინლად აგდებას არ მოვითმენდით და პეტროგრადის კანცელარიის მიერ შეთხზული წესით წარმოებულ არჩევნებს ბოიკოტს გამო უცხადებდით!

ასე გადაგვიხადეს ამაგი!

ასე დააფასეს ჩვენ გმირ-შვილთა მიერ დათხეული ზღვა, სისხლი.

ვასილ წერეთელი.

## სახაზრო საქმე.

საქართველოს მომავალი კეთილდღეობისათვის მარტო თავისუფლება არა კმარა. ბევრი რომ სხვაცაა საჭირო და ნამეტურ კი სიმდიდრე, დამუშავებული სიმდიდრე ჩვენში არ არის ჩვენ უხვათ გვაქვს წყაროები სიმდიდრის, მაგრამ თვით სიმდიდრე ჩვენში არ არის. და. თუ არის, ჩვენ არ გვეკუთვნის. ავტონომიურ საქართველოში ადგილობრივი სიმდიდრე ქართველების უნდა იქნეს, ამიტომ აუცილებლად საჭიროა ყოველი წყარო, რომელიც კი შობს სიმდიდრეს, ქართველების ხელში იქნეს. კერძო იქნება სიმდიდრე, თუ საერთო, ეს არსებითად სულ ერთია, ოღონდ სიმდიდრე ეროვნულ ინტერესებს კი ემსახურებოდეს და ქართველი ერის წინმსვლელობას კი ხელს უწყობდეს.

ჩვენს კურთხეულ სამშობლოში სიმდიდრის წყარო ბევრნაირია; ნოყიერი მიწა, ძვირფასი ტყეები, სხვადასხვა მადნები, სამკურნალო წყლები და უხვი საქნიმო მცენარეულობა. ჩვენში რომ განათლება გავრცელდეს, ადგილობრივი მასალები დამუშავდეს და მრეწველობა გაჩაღდეს-ქართველი ერი მსოფლიო ასპარეზზე არსებობისთვის ბრძოლაში უზრუნველყოფილი იქნება.

მართლაც, თუ დღეს ოავტამოდებით ავტონომიას მოვითხოვთ, თუ დღეს თავისუფლების იდეას ვეწირებით, ეს იმიტომ, რომ გულში იმედი ჩაგვესახა საკუთარი ძალღონით შინაური საქმეების კარგად მოწყობისა. დღეს დიდ ბრძოლაში ვართ ჩაბმული და ჩვენს სამართლიან ეროვნულ მოთხოვნილებას კიდევ საეჭვო გზა აქვს გასავლელი, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს ახალი, უმჯობესი ხანა მაინც დადგება და საგრძნობელი ისტორიული ნაბიჯი მაინც გადიდგმის. საფიქრელი მხოლოდ ისაა, რომ ბრძოლით გატაცებული შინაურ ხიფათს ვეღარ ვამჩნევთ. საქმე ისაა, რომ ჩვენ ჩუმა-ჩუმათ სიმდიდრის წყაროებს გვაცლიან ხელიდან. ამაზე გულ ნატკენი ვლაპარაკობთ, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი ვერ გადავდგით და შესაფერი ზომები ვერ მივიღეთ, რომ მავნე მტერი აგველაგმა და ჩვენი ეროვნული საუნჯე განსაცდელისგან გვეხსნა.'

ამას წინად ვამცნეთ მკითხველებს, რომ გარეშე მტრებს შეთარჯული აქვსთ კარგი ტყეები, დიდი მთები, ძვირფასი მადნები და ნელა-ნელა ყიდულობენ. მათ ხელს უწყობენ ადგილობრივი დალალები, რომელნიც კარგი საშრომის მიღების იმედით შრომას არ ზოგვენ, რომ საქმე მოჩალხონ. ამ დღეებში მოვიდა ახალი მთავრობის განკარგულება, რომ მიწაზე ნაყიდობას ნუღარ დაამტკიცებთო მაგრამ ეს საქმეს ვერ შეაჩერებს, რადგან დიდ ვადიანი იჯარა, რომელიც ახლაც შესრულდება, არსებითად ყიდვა გაყიდვას უდრის. ამ დღეებში ხმა გავრცელდა, ჩვენს ერთ მსხვილ მემამულეს თავისი დიდი მამული ინგლისელებისთვის მიუცია იჯარით 99 წლის ვადითო. თუ ეს მართალია, სწორეთ ჩვენი დაღუპვა იქნება. მოსალოდნელი კი არის ამისთანა ამბები მოხდეს, რადგან შარშან მინისტრმა განაცხადა, რომ არხანგელსკის გუბერნიაში დიდ ძალი ადგილი დაიკავეს ინგლისელებმა გრძელ ვადიანი იჯარით და ეს დღევანდელ ომზე უარეს ზარალს მოგვაყენებსო. როგორც სჩანს ინგლისელები სარგებლობენ რუსეთში მომხდარი არეულობით და ჩვენს ტერიტორიაზე ფეხს იკიდებენ. მათი აქ გაბატონება და ჩვენ მიწა წყალზე დაპატრონება დასაწყისია ჩვენი ეკონომიური მონობისა. ვერც პოლიტიკური რეფორმები და ვერც სოციალიზმის გულმოდგინეთ დაცვა ჩვენ ვერ გვიშველის და უცხოელთა ნივთიერი ბატონობისაგან ვერ დაგვიხსნის.

დღემდი რაც იყო, იმას რაღა გაეწყობა და აწი ავტონომიური საქართველო ერთ გოჯა მიწასაც ვერ შეელევა, ერთი მთის ნაწილსაც ვერ გასცემს, და ერთ სამადნეულო მადაროსაც უცხოელს ვერ მიაკუთნებს. ყოველგვარი დასამუშავებელი და საექსპლოატაციო სიმდიდრე ჩვენ დაგვჭირდება და, თუ ეს ვერ მოვახერხეთ, ისე ჩვენი ავტონომია მარტო თავმოყვარეობის დაკმაყოფილება იქნება და სხვა არაფერი. საქართველოს სწავლა განათლება, ტეხნიკური გაუმჯობესება, მეურნეობის აყვავება და სხვა დარგები სავსებით დამოკიდებული იქნება ფინანსებზე, რომელთა უმთავრესი წყარო ეს ბუნებრივი სიმდიდრე უნდა იქნეს და არა საერთო გადასახადი. მართალია, შეუგნებელი კერძო მესაკუთრე ამას ვერა გრძნობს, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ეს საქმე მოვაწყოთ.

ჩვენი მამულების სხვის ხელში გადასვლა რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, ეს არის გამოწვეული ბევრი მიზეზით უმთავრესი მიზეზია ჩვენი სიღარიბე მესაკუთრე ქართველი, რომელსაც ცხოვრების სახსარი არა აქვს იძულებულია მამული გაყიდოს, როგორც გამყიდველი, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია იმას მიჰყიდოს, ვისგანაც მეტს აიღებს. ეროვნული შეგნება იმდენად ღრმათ არ არის ფეხგადგმული, რომ ასეთ შემთხვევებში ნივთიერი ინტერესი იდეას დაუმორჩილონ. მარტო დარიგება, მოწოდებით მიმართვა და გაფრთხილება საქმეს ვერ გააკეთებს. ხსეთი შემთხვევებიც არის, რომ გამყიდველი სინანულს გამოხატავს, ვწუხვარ რომ ვყიდი, ვწუხვარ რომ უცხოელს ვაძლევ და ისიც ვიცი, რომ მომავალში მეტს ავიღებ, მაგრამ იძულებული ვარ ასე მოვიქცე და კიდეც ეს მაწუხებსო. მართლაც, როდესაც რომელიმე მესაკუთრეს გაჭირვება უკიდურეს მდგომარეობაში აგდებს, რა თქმა უნდა, იმას საშუალება ეჭირვება, და, თუ ის ჩვენში დახმარებას ვერ პოულობს, მაშინ ისე მოიქცევა, როგორც გარემოება აიძულებს. აი სწორეთ ჩვენი მოქმედებაც აქ უნდა გამოჩნდეს ჩვენ უნდა მოვსპოთ ეს უმთავრესი მიზეზი და შედეგიც თავის თავათ მოისპობა.

საუბედუროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ყოველი გაჭირვებული მემამულე დავაკმაყოფილოთ, ჩვენ არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს ხელი გაუმართოს მესაკუთრეს და მამულზე ხელი არ აღებიოს. ამიტომ დღეს იძულებული ვართ ასეთი რამ გავაჩინოთ.

საჭიროა პრინციპიალურად შევთანხმდეთ და ალვიაროთ ასეთი დაწესებულებების შექმნის აუცილებლობა. საჭიროა ყველა შევთანხმდეთ, რომ თუ ეს საქმე არ მოვაგვარეთ საეროვნო ინტერესი მარცხდება დამომავალში თითქმის ვეღარ შევძლებთ ამშეცდომის გამოსწორებას გავითვალისწინოთ ყოველივე ეს, დავაარსოთ განსაკუთრებული კომისია თუნდა საადგილმამულო ბანკთან, რომელსაც მიენდობა ამ კითხვის შესახებ პროექტის დამუშავება. კამისია შეკრებს ცნობებს გასაყიდ მამულებზე და აღმოაჩენს გზებს, თუ როგორ ალვადგინოთ, ეროვნული კაპიტალი, რომლითაც უნდა შევიძინოთ კერძო მამულები და გავხადოთ ეროვნულ საკუთრებათ. თუ შესდგება ასეთი კომისია და შეუდგება მუშაობას, ყოველი დაინტერესებული პირი თავისი მხრით დაეხმარება კომისიას თავისი აზრითა და ქონებითაც.

ვეცადოთ, რომ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე უცხოელთა ხელიდან არ გაგვიხდეს დასაბრუნებლად. სხვა შეცდომაც ბევრი ჩაგვიდენია და ამას მაინც ნუღარ მივუმატებთ. სამწუხაროა, რომ რევოლუციის დროს ამ ფრიად საჭირბოროტო კითხვას ჯეროვან ყურადღებას ვეღარ ვაქცევთ.

ტრიფონ ჯაფარიძე.

## პრესის ბამო.

(დრამატ. საზ.)

დღეს შავი ქვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება. ამ კრებას სხვათა შორის ევალება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა. დღევანდელი მდგომარეობა ქუთ. დრამატიულ საზოგადოებისა მეტად უმწეო და უნუგეშოა. საერთო თაოსნობა არ გვქონდა სათეატრო საქმეში და ამიტომ იგი ვერ დაყენდა სასურველ დონეზე. „ფრაქციობა და პარტიობა სამწუხაროთ დრამატიულ საზოგადოებაშიც ძლიერათ შემოიჭრა და ყველაფერი პარტიულ საზომ-თვალთა ხედვას დაუქვემდებარა. თეატრი კულტურული დაწესებულებაა, ხალხისთვის სულიერ საზრდოს მიმწოდებელი სალაროა, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა ჯგუფურ სივიწროვეს. მაგრამ ჩვენში ყველაფერს განსაკუთრებულ ორიგინალობის ხასიათი აქვს. ქართველ კაცს პურის ჭამაშიც პარტიობა ახსოვს, რის გამოც ვერც ერთი საქმე ჩვენი ერისა მტკიცე ნიადაგზე ვერ დაგვიყენებია და წინ ვერ წაგვიწევია. რომელ ქართულ დაწესებულებასაც არ უნდა გადახედოთ, გაეცნოთ, ყველა იმედის და რაიმე საფუძვლიან შინაარსის ჩვენების მაგივრათ, მწარე ფიქრებს აღგიძრავთ.

ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ ვერ ვეჩვევით თაოსნობას და პრაქტიკულ ენერგიულ მუშაობას.

სახალხო, საზოგადო მნიშვნელობას, საქმეს ცალკე პარტიული წრე ვერ გაუძღვება. საერთო საზოგადო და ისიც კულტურულ დაწესებულებას უნდა უთაოსნოს შრომელოს ერის ინტერ პარტიულმა ძალამ. ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების უკანასკნელ წლების ისტორია პარტიულ კინკლაობის და დაუსრულებელ დავის სურათს გვიშლის. ძლიერი პარტიები ხსენებულ საზოგადოებაში გაბატონებისთვის იღწოდენ.

დღეს ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ასეთი გარემოება აღარ განმეორდეს.

ახალმა დრომ უნდა ჩამოგვრეცხოს ძველი პარტიული სენი და საზოგადო დაწესებულებებში განწმენდილები შევიდეთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ იქ ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშაოთ.

ამ ჟამად ქუთაისის დრამატიული საზოგადოება სრულ უსიცოცხლობას აამკარავებს. რა გაკეთდა, ან რა კეთდება ქუთაისის თეატრის ასაღორძინებლათ? არაფერი. წარმოდგენების შესაფერი რეპერტუარიც კი ვერ იქმნა შემუშავებული და სისტემატიურათ წარმოდგენების მართვა ვე მოეწყო. არაფერს ვიტყვით თეატრის შენობის შეძენისთვის ზრუნვაზე. ასე იყო, მაგრამ დღეიდან ასე არ უნდა იყოს. ჭკუა გვასწავლოს წარსულმა გამოცდილებამ. საზოგადო საქმის ინტერესს მთლიან ძალით უნდა ვემსახუროთ ეროვნულმა სიმტკიცემ ყველაფერზე უნდა გაიმარჯვოს.

დღევანდელმა კრებამ უნდა იქონიოს სალი და დადებითი მსჯელობა დრამატიულ საზოგადოების ვითარების შესახებ და მომავალი მისი ბედი შესაფერ წრეს ჩააბაროს. არჩევანი მთავარი კითხვაა. დრამატ. საზ. გამგეობაში ისეთი პირები უნდა შევიდენ, რომლებიც ენერგიულნი და საზოგადოების წინაშე პასუხის მგებლობით გასწევენ შრომას.

ქუთაისის საზოგადოებას ერთი ხეირიანი თეატრის მოწყობა და შენახვა კი უნდა შეეძლოს. თეატრი ხელოვნების ტაძარია და ამასთანავე იგი არის ყოველი ერის სულიერ სიმაღლის გამომხატველი. შემოვიკრიბოთ ასეთ დაწესებულების გარშემო საერთო ძალა და შეერთებულის ენერგიით შეუდგეთ მოქმედებას.

სანტ.

## დროებით მთავრობის აქტი.

### საქართველოს ეკლესიის შესახებ.

დროებით მთავრობის აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, —უფრო გაუგებრობის ქსელში გვხვევს და კვანძს გვიხლართავს.

თანახმად მთავრობის აქტისა, რუსის ეგზარხოსი, 3 ეპისკოპოსითურთ სხიზმას ანუ რასკოლს ჰქმნის. არავითარ დამფუძნებელი კრებას ნება არა აქვს ჩაერიოს საეკლესიო საქმეებში და თავისი დადგენილებით დაარღვიოს სალვთო კანონები. თანახმად წმ. კანონებისა ყველა მართლმადიდებელი ეკლესია ეპარქიაში ემორჩილება ერთს ეპისკოპოსს, რადგან ორი თანასწორ უფლებიანი ეპისკოპოსის ყოლა ერთს ქალაქში შეუძლებელია. ძველს საქართველოში ბერძენთა ეკლესიებიც იყო, მაგრამ რადგანაც ქართველები ვინმეს შევიწროების ჩვეულნი არ არიან, ამისთვის ბერძენთათვის დაარსებული იყო ცალკე დამოუკიდებელი კათედრა ახტალისა.

საერთოდ რუსის სასულიერო წოდება ნაკლებ არის მორწმუნე და უფრო პოლიტიკანობს. ამასთანვე იგი მაღლიდან ზაზღით დასცქერის, როგორც ქართულ ისე ბერძენთა და რუმინელთა ეკლესიას. ამისთვის ეკლესიის საკეთილდღეოდ ფრიად საჭიროა ქართულ საკათალიკოსოში გამოყოფილ იქმნას რუსთა სამრევლოები, რომელნიც უნდა დაემორჩილონ რუსის მთავარ-ეპისკოპოსს და არა „ამიერ-კავკასიის ეგზარხოსს“, რომელიც მაღლა იდგება ქართველ ქათალიკოსზედ.

რაც შეეხება ბერძენთა და აფხაზთა ეკლესიებს, იგინიც საქართველოს ეკლესიის საკუთრებას შეადგენენ და რუსულ ანტიკანონიურ მთავრობას არავითარი უფლება არ ეძლევა გამოჰყოს ივერიის ეკლესიისგან ბერძენთა, აფხაზთა, ოსთა და სხ. ეკლესიები, რომელნიც ძველი დროიდან შედიოდნენ საქართველოს საქათალიკოსოში.

ქართულ ეკლესიის ყრილობამ ასე უნდა დადგინოს.

1) განსაზღვროს ივერია-იმერეთ-აფხაზეთის საქათალიკოსო ისტორიულ საზღვრებით, სახელდობრ: ქართლი, კახეთი, სამურზაყანო, სვანეთი, აფხაზეთი და აჭარა.

2) საჭიროა ახლავ განსაზღვროს ეპარქიების რიცხვი, რომელთა რაოდენობაც იქნება 5: მცხეთისა, იმერეთისა, გელათისა, იმერეთის 4 მაზრიდან—სამეგრელოს და ჭყონდიდისა, სამეგრელოს და სამურზაყანოს 2 მაზრიდან, ალავერდისა და ბოდბისა. გურიისა და ჯუმათისა. გორის სავიკარო უნდა გარდიქმნას სანახევროდ დამოუკიდებელ საეპისკოპოსოდ (ეპისკოპოსი იცხოვრებს გორში— რუსთაველის სახელწოდებით). ქათალიკოსისთვის განახლდეს—სამთავროს მონასტერი. დროებით აფხაზეთი სამეგრელოს უნდა შეუერთდეს,

3) ყველა ის ქართული მონასტრები, რომელნიც რუსის გამოსულმა ბერებმა და მოლოზნებმა ხელთ იგდეს დაუბრუნდეს საქართველოს ეკლესიას როგორც უძველესი საუნჯე ქართულ ეკლესიისა.

4) ყველა რუსთაგან დაჭერილი ქართული ეკლესიები დაუბრუნდეს კვლავ ქართველებს.

5) ბერძნებისთვის აღდგენილ იქმნება ახტალის საეპისკოპოსო ახტალელი ეპისკოპოსი იცხოვრებს ახტალის მონასტერში, რომელიც ძველებურად საარქიელო სახლად დარჩება.

6) აფხაზეთის ეპარქია (თუ კი აღსდგება) განაგებს აფხაზურის მცოდნე ეპისკოპოსი, რომელიც იცხოვრებს ბიჭვინთაში, სადაც იყო ბიჭვინთის კათალიკოსების კათედრა.

7) რაც შეეხება ყარსის ოლქს, სადაც უმეტესად ბერძნები ცხოვრობენ—უნდა გაიცეს შესაფერი განკარგულება, რომელიც დააკმაყოფილებს ბერძენთ მოსახლეობას.

ბაქოს ეპარქია შეიძლება დამოუკიდებლად დარჩეს და დაემორჩილოს სინოდს. ყველა სამხედრო ტაძრები დაექვემდებარება რუსის ეგზარხოსს აპოკრისიარის.

ივერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ, საჭიროა საბერძნეთის ეკლესიათან დაახლოვება საჭიროა ახლავე ამოირჩეს ქათალიკოსი და აღდგენილ იქმნას კანონიერი წესწყობილება. უნდა სრულიად ჩამოეცალოს რუსის ეკლესიას, რომელიც ამდენი ხნის წილ იყო იმდენად არა მეფეთა, რამდენის ბ. ბ. ობერ-პროკურორთა.

დროებითი მთავრობის აქტი საქართველოს ეკლესიის შესახებ. ნათლად მოწმობს თუ რა ცოტა გაეგებათ საერო მოღვაწეთ ამ წამებული ეკლესიისა. იგინი თავისუფლების მაგივრად ქვით ჰქოლავენ მას.

ძალადობას და უსამართლობას თავისუფლებასთან საერთო არა აქვთ რა.

ამ დღეებში საქართველოდან მივიღეთ ცნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ქათალიკოსის სადგომად ამორჩეულია მცხეთა და არა თბილისი.

მცხეთა—პატრიარქის საყდარია და ამის საწინააღმდეგოს თქმა არ შეიძლება.

თბილისს კი 1812 წლამდე საკუთარი მიტროპოლიტები ჰყავდა.

ეხლა თბილისი ვოსტორგოვის წინადადებით გამოყოფილია, რადგანაც თუ რუსის მთავარეპისკოპოსი თბილისში იცხოვრებს, ამით მცხეთის ქათალიკოსის გავლენას ძალა მოაკლდება.

ქართულ ეკლესიას არიან სომხ-გრიგორიანთა ეკლესიას. ეს ... ჰსახავენ მას უსაზღვრო ეკლესიად. მივიქცევთ ყურადღებას ამის შესახებ, როგორც ქართველ მღვდელმთავრებისას, ისე კლირის და ერისას. ... მტკიცედ ... კანონიერ და ... უფლებას ... როვნულ უფლებებს.

თბილისში ... უნდა ... მოდეს ქართველთ ... ქართველებმა მტკიცედ და დაუღალავად უნდა დაიცვან საუნჯე თვისი ეკლესიისა და თავისი ერისა, მათ უნდა ახსოვდეთ კარგად-რომ ამ ჯვაროსან ხალხს პეტროგრადში ბევრი მტერი ჰყავს, რომელიც მთელ სომხით ქალაქ თბილისითურთ ჰსთავაზობს მომავალ ავტონომიურ სომხეთს.

(„პეტ. ვედ“) ნ. დურნოვო.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

### დეპეშები

საუფლისწულო კასის ემერატნლურ დებულების გაუქმება.

**პეტროგრადი.** ივნისის 24. დროებით მთავრობის დადგენილებით გაუქმებულია საუფლისწულო კასის ემერიტალურ დებულების მოქმედება.

დ ა ნ ი შ ვ ნ ა.

**პეტროგრადი.** ივნისის 24. შინაგან საქმეთა სამინისტროს მეორე პოლიტიკური განყოფილების მოთათბირე ალექსანდრე პეტროვი გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

სამხედრო მინისტრის კერენსკის ბრძანება.

**პეტროგრადი.** ივნისის 24. სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ბრძანება გამოსცა ჯარისა და ფლოტისადმი, რომლითაც მოითხოვს სამხედრო პირთა მიერ ბრძანების დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ ასრულებას.

მიწადმოქმედების მინისტრის ჩერნოვის მოხსენება დროებითი მთავრობისადმი.

**პეტროგრადი.** ივნისის 24. დროებითმა მთავრობამ მოისმინა მიწადმოქმედების მინისტრის ჩერნოვის მოხსენება, რომელიც წარმოადგენს შემდეგ: მიწის ყიდვა-გაყიდვის და დაგირავებისა მიწის საქმის მომწესრიგებელ კომისიებისა და მომრიგებელ კამერების ლიკვიდაცია და სხვა.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების ყრილობა.

**პეტროგრადი.** ივნისის 24. ჩხეიძე აცხადებს: ის ყურადღება, რომელიც მიაქცია ჩვენი ყრილობის მუშაობას მთელმა მხარემ და აგრეთვე მთელმა ქვეყანამაც, თავმდებია ჩვენი გამარჯვებისა.

ყრილობის გადაწყვეტილებანი არ გაიყინება ცარიელ სიტყვებში, არამედ საქმედ იქცევა. ჩვენი მუშაობის ობიექტიურ დაფასებას შესძლებს რუსეთის რევოლუციური დემოკრატია. მე იქვიც არ მეპარება, რომ ეს დაფასება ყრილობის სასარგებლოდ იქნება ყრილობის მუშაობის დაფასება შეიძლება ეხლაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყრილობამ მოიწონა გზა, რომელსაც რევოლუციის დაწყებისას დაადგა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატები და შემდეგ კი სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების ყრილობამ გადაჭრით სთქვა ვიაროთ ამ გზით, მიუხედავად სხვადასხვა უთანხმოებისა, რადგან ეს ერთად ერთი გზა იქნება, რომელიც საფუძველს ჩაუყრის რევოლუციის დღესასწაულს. ამასთანავე საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მებრძოლ გმირთ, რომელნიც რუსეთის თავისუფლებისათვის თავიანთ სისხლს ღვრიან, უთხრათ: რადგან თქვენ სწირავთ თქვენს სიცოცხლეს სამშობლოს კეთილდღეობას, თქვენს განკარგულებაში იყოს ჩვენი სიცოცხლეც, რომ ყოველს წამს მზად ვიყოთ რუსეთის თავისუფლების სამსხვერპლოზე შევიტანოთ ჩვენი სიცოცხლეც.

ყრილობა ძლიერის ტაშით შეეგება ჩხეიძეს. ყვირილი: „ურა ჩხეიძეს! გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას! გაუმარჯოს ძვირფას რუსეთს! დეე მოისპოს ომი და სხვა.

მოწოდება ჯარისა და ფლოტისადმი.

რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატიამ გაიგო პირველი შეტევის დაწყება რუსეთის მხედრობისა და სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის და გლეხთა დეპუტატების სახელით მიმართა ჯარსა და ფლოტს შემდეგის მოწოდებით: ჯარის

კაცებო და ოფიცრებო! რევოლუციური დროებითი მთავრობის მიერ თქვენ მოწოდებული ხართ შეტევები აწარმოოთ დემოკრატიულის საფუძვლებზე. რევოლუციის ცეცხლში გამბრძმედილებმა თქვენ გაბედულად დაიწყეთ მოქმედება ბრძოლაში თავისუფლებისათვის. თქვენ, ბრძოლის ველზე რევოლუციის საქმეს რომ იცავთ და ღვრით თქვენს სისხლს, ხელს უწყობთ რევოლუციის განმტკიცებასა და საერთაშორისო ზავის ჩამოგდებას. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობა, აღმასრულებელი კომიტეტი, და გლეხთა დეპუტატები გიგზავნისთ თქვენ ძმურსა და გულითად სალამს. რუსეთის რევოლუცია დიდი ხანია მოუწოდებს ზავის ჩამოვდებისათვის ყველა ქვეყნის ხალხებს. ჯერჯერობით ჩვენს მოწოდებას ნაყოფი არ გამოუღია. ჩვენ ბრალი არ გვიდევს ომის გაგრძელების საქმეში.

თქვენ მიერ ნაჩვენები შეტევების დაწყება სახელს მატებს რევოლუციურს რუსეთს, რაც მოგვიახლოვებს საერთაშორისო ზავს.

ამ გადამწყვეტ დროს, მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობა და აღმსრულებელი კომიტეტი გლეხთა დეპუტატებისა მოუწოდებს რუსეთის მცხოვრებთ რათა მთელის ძალ-ღონით დაეხმარონ მომქმედ რევოლუციურს ჯარს. გლეხებო! მიაწოდეთ პური ჯარს, მუშებო! ნუ მოაკლებთ სამხედრო მასალას. ზურგს უკან მდგარნო ოფიცრებო და ჯარისკაცებო! აასრულეთ ბრძანება და დაუყოვნებლივ, ბრძანების მიღებისთანავე, გაემგზავრეთ ფრონტზე თქვენი ძმების დასახმარებლად. მოქალაქენო ყველას გახსოვდესთ თქვენი მოვალეობა. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა წარმომადგენლებო! დაუდექით დარაჯად რუსეთის თავისუფლებას. ჯარისკაცებო და ოფიცრებო! გახსოვდეთ, რომ თქვენ იბრძვით რუსეთის საკეთილდღეოდ და თავისუფლების განსამტკიცებლად. თქვენ იბრძვით აგრეთვე საერთაშორისო ზავის მოსაახლოვებლად.

მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ.

ძმებო! გაუმარჯოს რევოლუციურს ჯარს.

დაემორჩილეთ რევოლუციურ ხალხის ნების ყოფას და პირნათლად აასრულეთ თქვენი მოვალეობა.

**პეტროგრადი**. ივნისის 24. სამხედრო მინისტრის განკარგულების თანახმად პირველი სატყვიისმტყორცნელო პოლკი ივნისის 25 ფრონტზე ჰგზავნის 500 ტყვიისმტყორცნელს ჯარისკაცთა საჭირო რიცხვის თანხლებით.

სამხედრო მინისტრის წინადადების თანახმად მთავრობამ დაადგინა, რომ პირადი ვაჟკაცობისათვის ოფიცრების წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვება ხდებოდეს როტისა სამწყობრო კომანდისა, ასეულისა, ბატარეის საერო ყრილობის შემოწმებით იმ სავმირო საქმეთათვის, რომელთაც წმ. გიორგის წესდება ითვალისწინებს.

ჯარისკაცებს მეოთხე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვრით ისევ ოფიცრები დააჯილდოვებენ.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების ყრილობა.

**პეტროგრადი**. ივნისის 23. სასურსათო საქმეთა მინისტრმა პლეხანოვმა ყრილობას გააცნო მოსავლის რაოდენობა. ამ უკანასკნელ მომენტში გამოირკვა, რომ პოვოლოჟიესა და ურალის ოლქები, სრულიად უპუროდ დარჩებიანო. სხვა ადგილებშიაც ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაა. ჩრდილოეთისათვის პურის მიწოდება წყლების გზით მოუხერხებელი იქნება. ზოგიერთ გუბერნიაში პურის გაყიდვა შესწყვიტეს, რადგან მოსავლს ცუდი პირი უჩნდათ. ასეთი მათი მოქმედება სახელმწიფოს დაღუპვის კარამდის მიიყვანდაო, რადგან ჯარს ესაჭიროება პურიო. ამის გამო ყველა გუბერნიის მცხოვრებლები ვალდებულნი არიან გაიჭირვონ საქმე და თავიანთი პირადი ინტერესები დაუთმონ საზოგადო, სახელმწიფო ინტერესებსო.

მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენელთა ყრილობამ უნდა დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეშიო. ამის გამო ყრილობამ დაადგინა ამ მხრივ დახმარება აღმოუჩინოს სასურსათო საქმეთა სამინისტროს.

საქალაქო არჩევნები.

**მოსკოვი**. ივნისის 25. დღეს მოხდა საქალაქო არჩევნები სხვადასხვა პარტიები აგიტაციას ეწეოდენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. წამოყენებულ იქნა სია, რომელთაც კენჭი უყარეს. პირველი სია ეკუთვნოდა კადეტებს, მეორე სახალხო სოციალისტებს, მესამე სოციალისტ-რევოლუციონერებს, მეოთხე სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, მეხუთე, სოციალ-დემოკრატებს ინტერნაციონალისტებს, მეექვსე „ედინსტვოს“ ჯგუფს და მეშვიდე ლიბერალ-დემოკრატიულს კავშირს.

## შ ე ხ ო დ ე თ ი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

მიღოცვა რუსეთის ჯარიდგან.

**ლონდონი**. ივნისის 23. ბრიტანეთის მთავრობა ულოცავს რუსეთის მამაც მხედრობას ძლიერი შეტევების დაწყებას.

მონშევალის მოკვლა.

**ტეგერანი**. ივნისის 17. (დაგვიანებულია.) დღისით ქუჩაში მოკლეს უფროსი ხაზინადარი მონშევალი. რომელსაც ინგლისის მომხრეობა ბრალდებოდა.

სამხედრო კრედიტი.

**სტოკჰოლმი** ივნისის 23 რეიხსტაგის უხუცესთა საბჭოს თათბირზე უკამათოთ მიიღეს სამხედრო კრედიტი.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი**. ივნისის 25. ოფიციალი. გასულ ღამით ფრანგების პოზიციებს უშენდენ, ლაფფოს წისქვილის ჩრდილოეთით ფრუადმონის ფერმასთან. გათენებისას გერმანელებმა სასტიკი იერიშები მოიტანეს ასპარეზის ოოხს პუნქტში ჩვენი სიმაგრეების წინააღმდეგ. ჩვენმა ჯარმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მტერი დავაზარალეთ. ლაფფოს წისქვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მენნეჟეტოს ფერმის დასავლეთით მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. ბოვუსა და ფრუნადმოვის შუა მდებარე ადგილებში მტერმა იერიში მოიტანა. იერიში მოვიგერიეთ რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ. სერნის აღმოსავლეთით ჩვენ მოვახდინეთ მეტად მარჯვე ოპერაცია. გავაფართოეთ პოზიციები. წამოვიყვანეთ ტყვეები. ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებდა სენველიას მიდამოებში ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მტრის ჯარი გაფანტა, რომელიც ცდილობდა ჩვენს ხაზებს დაახლოვებოდა.

მაასის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა ერთის დაკვრით დაიკავა მტრის 3 ძლიერად გამაგრებული პუნქტი.

304-ს სიმაღლესთან გერმანელების კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

**ლონდონი**. ივნისის 24 ოფიციალი. გერმანელები ცდილობდენ თავს დასხმოდენ ჩვენს თხრილებს. მტერი მოვიგერიეთ.

**პარიზი**. ივნისის 19 ოფიციალი. სეკანტენში მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. გოშის მახლობლად სერნის მიდამოებში საარტილერიო სროლა ორივე მხრიდან ძლიერია. ჩვენმა ჯარმა მტერზე სასტიკი კონტრიერიშები მიიტანა. მტერს უკან დავახევინეთ. დავიკავეთ მრავალი ადგილი. ჩვენმიერ დაკავებული ადგილები დაფარულია დახოცილთა გვამებით. მტერი საგრძნობლად დაზარალდა. რეიმსთან საარტილერიო ბრძოლაა, ვევრში გერმანელები შეეცადენ ხაზებს დაახლოვებოდენ.

მტრის მზვერავი რაზმი გავფანტეთ.

რუმინეთის ასპარეზი.

**ოდესა**. ივნისის 24 რუმინეთის ასპარეზის ჩრდილო ნაწილში არტილერიის მოქმედების შემდეგ მტერმა ერთ-ერთს მაღლობზე, რომელიც ჩვენ მიერ იყო დაკავებული იერიში მოიტანა.

მტერს დიდის ზარალით უკან დავახევიეთ. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში სროლაა.

ფრინავთა მოქმედება.

**ლონდონი**. ივნისის 24 ქალაქზე მფრინავების თარეში გაგრძელდა 10 წამს. ბრიტანეთის აეროპლანებმა მტრის მფრინავები უკუაქციეს.

**ლონდონი**. ივნისის 24 ოფიციალი. გერმანელების მრავალი აეროპლანი მოქმედებდა. ერთი საჰაერო რაზმი შესდგებოდა 35 აეროპლანისგან. ჩვენი მფრინავები უშენდენ მტრის აეროდრომებს.

# გთხოვთ თანამოაზრე

## საშუალო სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზდობას

(ვაჟებს) შემოიარონ რედაქციაში დილის 9—2 საათამდის, ფრიად საჭირო საქმისთვის.

მფრინავთა მოქმედება მთელი ღამით გრძელდებოდა გერმანელებმა საჰაერო ბრძოლის დროს დიდი აქტივობა გამოიჩინეს. ჩამოაგდეს 144 ყუმბარა. ჩამოვაგდეთ გერმანელების 8 ჰაეროპლანი. 6 აეროპლანი ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო.

5 ჩვენი ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

ზღვაზე.

**ვაშინგტონი**. ივნისის 24 მტრის წყალქვეშამ ჩასძირა ამერიკის გემი „ორლეანი“.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**მინსკი**. ივნისის 25. აღმოსავლეთის ასპარეზის სხვადასხვა ადგილებში დაიწყო გაცხოველებული ბრძოლები ძლიერად მოქმედებს არტილერია. ბარანოვიჩის მიდამოებში თოფის სროლაა. დაზვერვა და სროლა გრძელდება ხდებოდა წვრილი შეტაკებები.

## ახალი ამბავი

✦ ქალთა კრება. ხუთშაბათს, დილის 11 საათზე, ქუთ. რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში გაიმართება ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების ქალთა კრება. კრებაზე დასწრება შეუძლიათ აგრეთვე უპარტიო ქალებსაც.

✦ დროებითმა მმართველობამ. გააუქმა სასანიტრო და საევაკუაციო ნაწილის მთავარ გამგის და მის თანაშემწეთა თანამდებობა. მათ მაგიერ არსდება ექიმთა სასანიტრო საბჭოები.

✦ უფლებათა გაფართოება. სახალხო განათლების სამინისტრომ სასწავლებლებში სამოსწავლო საბჭოებს სრული უფლება მისცა სახელმძღვანელო წიგნების ამორჩევის საქმეში და აგრეთვე სამკითხველოებისა და ღარიბ მოსწავლეთათვის დახმარების დანიშვნისთვის წინედ მათ ამის უფლება არ ჰქონდათ.

✦ მოხსენება ბათუმში. უკრაინელთა და ქართველთა კავშირის კომიტეტის წევრი **ილარიონ ჟღენტი** გაემგზავრა ქ. ბათუმში, სადაც გაიწვიეს მოხსენების წასაკითხავათ. ი. ჟღენტი კვირას 2 ივლისს წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა დღეს და ჩაგრულ ერთა საკითხი“.

✦ სამოსწავლო საქმე. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა ახალი წესდება. სამასწავლებლო ინსტიტუტების შესახებ. თანახმად ახალი წესდებისა დღეიდან სამასწავლებლო ინსტიტუტი კაცებისთვის და ქალებისთვის ერთად მოეწყობა ინსტიტუტში მიიღებიან: ისპირნი, რომელთაც გაუთავებიათ სამოსწავლებლო სემინარია, სავაჟო გიმნაზია, რეალური სასწავლებლის 7 კლასი, საქალებო გიმნაზია, კომერციული სასწავლებელი და ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი. ამათ გარდა ინსტიტუტში მიიღებიან ისეთები რომელთაც ჩაბარებული აქვთ სათანადო გამოცდები.

ინსტიტუტში იქნება საზოგადო და სპეციალი განყოფილება. შედის შემდეგი ნაწილები: ისტორია-სიტყვიერებისა, ფიზიკო-მატემატიკისა, საბუნების მეტყველო-ისტორიისა და გეოგრაფიისა.

✦ ცვლილება. როგორც იტყობინებიან სახალხო განათლების მინისტრი მანუილოვი და მისი ამხანაგი გერასიმოვი სამსახურს თავს ანებებენ.

✦ ისტორიულ სიძველეთა აღმოჩენა. არქეოლოგიურ კომისიის წევრი მოისეევი განათლების მინისტრს დეპეშითატყობინებს. რომ ქ. ევპატორიაში აღმოჩნდა ანტიური ქალაქის ნაშთები.

✦ ქურდობა. კვირას 25 ივნისს თბილისის ქუჩაზე გასტეხეს და გაქურდეს სულაქველიძის სამრეცხველო.

✦ საჭირო განცხადება. ჩვენს რედაქციაში შემოვიდა რამდენიმე პირი და განაცხადეს, რომ მათთვის სხვადასხვა ადგილებიდან ფოსტით გამოუგზავნიათ წერილები მხოლოდ მათ კი არ მიუღიათ. ჩვენს რედაქციას სხვადასხვა კუთხის კორესპონდენტები აუწყებენ, რომ მათ გამოგზავნეს წერილები, რაც ჩვენ არ მიგვიღია. განსაკუთრებით წერილები იკარგება თბილისიდან და ბათომიდან. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქციოს ფოსტის კომისარებმა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით 3 ივნისიდან ქუთაისიდან ტყიბულამდე ორი ზედმეტი მატარებელი დაწესდა.

✦ თბილისის სამოსამართლო პალატა სთხოვს ქუთ. აღმ. კომიტეტს, შეატყობინოს მას, რა საბუთებით გაათავისუფლეს ციხიდან ს. ჰანტურია.

✦ როგორც თბილისიდან ჩამოსულები ამბობენ გლეხთა ყრილობას მიწის კითხვაში მუნიციპალიზაცია მიუღია.

✦ პარკის ფასი. 26, და 27, ივნისს ქუთაისში ფუთი პარკის ფასი 75—78 მან. ავიდა.

### პროვინცია.

✦ ქ. გორი. ამ დღეებში აქაურ საზოგადო სეკრებულოს საზაფხულო დარბაზში გაიმართება ლექცია მუსიკით. ლექციას წაიკითხავს ქუთ. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი ბ-ნი ალ. გარსევანიშვილი, შემდეგ თემაზე: „რა სარგებლობა მოუტანა ფინეთს 100 წლის ავტონომიურმა ცხოვრებამ“ ლექციის დასასრულ იმღერებენ იმერულ, გურულ, მეგრულ და სვანურ—აფხაზურ სიმღერებს.

ბ-ნი ალ. გარსევანიშვილი ამ ლექციას განიმეორებს ღ. ხაშურში.

✦ სოფ. ოფშკვითი. 29 ივნისს სოფ. ოფშკვითში ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება ერთ მოქმედებიანი დრამა დ. კლდიაშვილისა „დარისპანის გასაჭირი“. წარმოდგენის შემდეგ წაკითხულ იქნება ლექციები.

✦ ს. თერჯოლა. ხუთშაბათს, 29 ივნისს, ადგილობრივ სკოლის შენობაში გაიმართება წარმოდგენა მასწავ. ქალის გალ. ქოჩიაშვილის მეთაურობით.

შემოსავალი გადაიდება ს. თერჯოლის და სიქთარვის სამკითხველოების სასარგებლოთ.

✦ ს. სიქთარვა. კვირას, 25 ივნისს, მოხდა ყრილობა ადგილობრივ კოოპერატიულ სამომხმარებლო დუქნის ხარჯთაღსარიცხავათ. კრებაზე განხილულ იქნა წარსული ექვსი თვის ანგარიში და დიდი მადლობა გამოუცხადოს სიმონ მესხს, სერგისა მემანიშვილს და პანტელ. მესხს დუქნის ანგარიშის სისწორით წარდგენისათვის.

### თფილისი.

— ქართული ლაშქარი თბილისში მიღებულ დეპეშის თანახმად, სამხედრო მთავრობას ნება დაურთავს ქართულ მსროლელთა პოლკის პოლკოვნიკ თავ. გარდაფხაძისთვის შეადგინოს ქართული ბატალიონი, ხოლო შტაბს. ცაგურიასათვის მიუნდვია შეადგინოს სამთო ცხენოსანი რაზმი, რომელიც უნდა შევიდეს ქართველ ცხენოსანთა პოლკში.

— ქართველ მასწავლებელთა შორის თიბათვის 24-ს კრ-ბა ჰქონდათ ქართველ მასწავლებელთა კავშირის წევრებს. ასარჩევიიყო 9 რწმუნებული, რომელნიც წევრებად უნდა შევიდნენ სასკოლო კომისიაში, რომელიც უნდა მოაწყონ ამიერ-კავკასიის კომისარიატთან და რომელმაც უნდა იზრუნონ სკოლის ნაციონალიზაციაზე დადგენილ იქმნა მიენდოს საქართველოს სამ მომქმედ პოლიტიკურ პარტიას (ეროვ.-დემოკრატიულს, ს, დემ. და ს.-ფედ )თას-სამი კაცი აირჩიონ თავიანთ შორის კომისიაში წარსაგზავნად.

✦ სალდათების და მუშათა დეპუტატების საბჭოში თიბათვის 24-ს ლექცია წაიკითხა აკაკი ჩხენკელმა. მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთები შემცდარნი არიან, როცა ამტკიცებენ, რომ მტერზე იერიშის მიტანის შესახებ ბრძანება კერენსკის საქმეაო. ეს ბრძანება მარტო კერენსკის როდი გამოუცია, არამედ ეს განკარგულებაა მთელი დროებითი მთავრობის, შემადგენლობისა და გამოწვეულია იმ მოსაზრებით რომ დავიცვათ და შევინარჩუნოთ მოპოებული თავისუფლებაო. კრებამ ასეთი რეზოლუცია გამოიტანა: ყოველი ძალ-ღონით მხარი დაუჭიროთ მხედრობას რომელიც თავისი სისხლით იცავს მოპოებულ თავისუფლებასო. ამავე კრებაზე გამოტანილ იქმნა რეზოლუცია, რომ ეხლავე მოხდეს მობილიზაცია [illegible] და ბრძოლის ველზე გაიგზავნოს ისინიო.

[illegible]

[illegible] ქუთაისის [illegible] ჯარისკაცთა წარმომადგენლების თათბირმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ მზათ არიან ენერგიული მუშაობა გასწიონ რადსთად ერთად და უზრუნველ ჰყონ რადა მატერიალურისა და ზნეობრივ ფიზიკურ დახმარებით.

ყაზახთა ყრილობა და უკრაინა.

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: უკრაინის რუსეთიდან გამოყოფა არღვევს სახელმწიფოს მთლიანობას და ნამეტურ დღევანდელ დღეს უფრო ართულებს სახელმწიფოს წყობილებას ამიტომ ყრილობა ენერგიულად დაუჭერს დროებითი მთავრობის განკარგულებათ, რომელნიც უკრაინის რადას „უნივერსალ“-ს ეხება.

## უკანასკნელი ამბები.

არეულობა პეტროგრადში.

18 ივნისს ბრბო გაიჭრა იმ ციხის კედლებთან, რომელშიც ანირქისტები იყვენ დატუსაღებული და მოითხოვა მათი განთავისუფლება. ბრბომ გაანთავისუფლა მეხალიძე (?) პორუჩიკი ხაუსტოვი, გუსევი და მოლერი, რომელნიც 18 ივნისს დროებითი მმართველობის საწინააღმდეგო მანიფესტაციას აწყობდენ.

საიდუმლო ავტომობილის და ეტლების თარეში.

პეტროგრადის ქუჩებში მოულოდნელად გამოჩნდება საიდუმლო ეტლი, რომელიც სროლას აუტეხს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შენობეს და ისევ მიიმალება. 19 ივნისს გამოჩნდა ჯავშნიანი ავტომობილი. მასზე მყოფნი ჰყვიროდენ! „ჩქარა გაანთავისუფლეთ პეტრე პავლეს სატუსაღოში მყოფი სუხომლინოვი პროტოპოპოვი და სხვები“.

შეტაკება.

პეტროგრადში ჯარს და ანარქისტებს შეტაკება მოუხდათ. მოკლულია 3 კაცი.

უკრაინელთა მიტინგის დადგენილება.

24 ივნისს ეგერის, სემიონოვის და იზმაილოვის პოლკების უკრაინელმა ჯარისკაცებმა დაადგინეს ყოველ საშუალებით მხარი დაუჭირონ უკრაინის უნივერსალს და გაამაგრონ უკრაინის ავტონომია.

ძარცვა—გლეჯა

4 დღის განმავლობაში პეტროგრადში 12 დიდი მაღაზია გაუძარცვავთ.

კრონშტადტი.

მატროსებმა გადასწყვიტეს პეტროგრადს ესტუმრონ. ქალაქისთავად აირჩიეს მენშევიკი ისაევი.

ანარქია ჯარში.

პეტროგრადის ჯარი ორ ნაწილათ გაიყო, ერთი შეტევას წინააღმდეგია მეორე, მცირე ნაწილი კი, შეტევას მოითხოვს.

## სრულიად რუსეთის მუშათა

### და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობის დადგენილება ეროვნულ კითხვის შესახებ.

ეროვნულ კითხვის მოსაგვარებლად ყრილობამ თავისი შემადგენლობიდან გამოჰყო განსაკუთრებული სექცია, რომელმაც შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: 1) ეროვნული კითხვის მოწესრიგება რუსეთში მჭიდროდ დაკავშირებულია რევოლუციის გამარჯვებასთან საერთო სახელმწიფოებრივის მასშტაბით; ამიტომ რუსეთის ყველა ერის ძალ-ღონე მიმართულ უნდა იქნეს დამფუძნებელ კრების სასწრაფოდ და დაუბრკოლებლივ მოწვევის უზრუნველ ყოფისათვის, ვინაიდან ამას მოითხოვენ როგორც სრულიად სახელმწიფოებრივი, ისე ეროვნული ინტერესები. მხოლოდ დამფუძნებელი კრება გარდაქმნის და დაამყარებს რუსეთს ახალს დემოკრატიულ საფუძვლებზე და ისეთ პირობებსაც შექმნის, რომელიც სრულს გარანტიას მისცემს ყველა ეროვნების უფლებათა ურყევლობას. 2. ამასთანავე რევოლუციისა და ყველა ეროვნების მშრომელ დემოკრატიის შეკავშირების ინტერესი მოითხოვს რევოლუციურ რუსეთისაგან, რომ ის დაუყონებლივ დაადგეს დეცენტრალიზაციის გზას მართვა-გამგეობის საქმეში, რადგანაც ასეთი გზა ფართო ასპარეზს გაუხსნის დემოკრატიის თვით მოქმედებას და სახალხო ძალების განვითარებას ყველა ეროვნებისას.

3. თავისუფალ რუსეთში შემავალ

ეროვნებათა უფლებების უზრუნველ საყოფად რევოლუციური დემოკრატია ეცდება დამფუძნებელ კრებაზე მოუპოვოს ფართო პოლიტიკური ავტონომია იმ ოლქებს, რომელნიც ან ეროვნულ-ეთნოგრაფიულად ან სოციალ-ეკონომიურად განსხვავდებიან, ხოლო ისეთნაირად, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები უზრუნველ ყოფილ იყოს ძირითადი კანონების მიერ და ადგილობრივისა და საერთო სახელმწიფოებრივი წარმომადგენლობითი ორგანოების დაწესების საშუალებით.

4. ამიერიდგან, სანამ დამფუძნებელი კრება საბოლაოდ გადასწყვეტდეს ეროვნულ კითხვას, ყრილობა წინადადებას აძლევს დროებით მთავრობას დაუყოვნებლივ შეუდგეს შემდეგი ზომების განხორციელებას: ა) დროებითმა მთავრობამ გამოსცეს დეკლარაცია, რომ ის რუსეთის ყველა ერისათვის თვითგამორკვევის უფლებას (ჩამოშორებასაც კი) აღიარებს, რაც განხორციელებული იქნება სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე.

ბ) გამოიცეს დეკრეტი ენათა სწორუფლებიანობის შესახებ (რუსულ ენას შერჩეს სრულიად სახელმწიფოებრივი უფლება) და ყველა ერის მოქალაქეებს მიენიჭოს უფლება, ისარგებლოს სამშობლო ენით თავის მოქალაქეობრივი და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელების დროს სკოლასა და სასამართლოში, თვითმართველობის ორგანოებში, სახელმწიფოს მთავრობასთან ურთიერთობის დროს და სხვა.

გ) შესდგეს დროებით მთავრობასთან საბჭო ეროვნული საქმებისათვის, რომელ საბჭოშიც შევა რუსეთის ყველა ერთა წარმომადგენელი. მიზანი ამისა იქნება როგორც ეროვნული კითხვის შესახებ მასალების დამზადება სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის, ისე შემუშავება პირობათა და საშვალებათა საერთაშორისო დამოკიდებულებათა მოსაგვარებლად და ფორმათა, რომელნიც შეაძლებინებენ ერებს თავისი შინაური ცხოვრების საქმეების მოწყობას.

5) მოუწოდებ რა მთელი რუსეთის დემოკრატიას მხურვალე დახმარებისთვის ეროვნულ კითხვაში დაკისრებულ პროგრამის გადასაწყვეტად და მოითხოვს რა დროებით მთავრობისაგან უფრო ენერგიულ მოქმედებას ერთა საჭიროების და საკმაყოფილებლად, ყრილობა წინააღმდეგია იმისა, რომ ეროვნულ კითხვის გადაჭრას შეეცადოს ვინმე განცხადებითი წესით, რუსეთის ცალკე ნაწილების ჩამოშორებით დამფუძნებელ კრებამდის, ვინაიდგან ამდაგვარი ნაბიჯები ქსაქსავს რევოლუციურ ძალებს, ჰბადებს ყველა ერებში დაუსრულებელ დავას და უპირდაპირებს ერთს ეროვნულ ჯგუფს მეორეს, ასუსტებს რევოლუციის ძალას, ძირს უთხრის რუსეთის სამეურნეო და სამხედრო ძალებს, რითაც სუსტდება საზოგადოთ რუსეთის თავისუფლების განმტკიცების საქმე, და კერძოდ საფრთხეს უმზადებს ეროვნულ თვითგამორკვევის გამარჯვებას.

# რ უ ს ე თ ი.

### ხოცვა-ჟლეტა.

მოგილევის გუბერნიაში აგრარულ ნიადაგზე დიდი უწესოება მოხდა. ერთი მეორეს მიესია და ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. ჯარმა აღელვებულ ხალხთან ვერაფერი გააწყო. დაჭრილ დახოცილთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის.

### ინტელიგენციის წინააღმდეგ.

ყაზანში ჯარის-კაცებმა ერთ ვექილს სცემეს. ჯარისკაცები ასე ხსნიდენ თავის საქციელს: ყველა ნასწავლი ომის გაგრძელებას მოითხოვს და ამიტომ ჩვენი ვალია ავლაგმოთო.

### ქაღალდის კრიზისი.

პეტროგრადში ქაღალდის დიდი კრიზისია. რამდენიმე გამოცემა უქაღალდობის გამო დაიხურა. ქაღალდის კომიტეტს, რომელიც უკანასკნელ დროს დაარსდა პეტროგრადში დიდი იმედი ჰქონდა, რომ ქაღალდს ფინეთიდან შემოზიდავდენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. სხვადასხვა ორგანიზაციების გამომცემი წინასწარ იმარაგებენ ქაღალდს. მოსალოდნელია კერძო გამოცემები სრულიად შეჩერდენ.

### ბოლშევიკები.

სარატოვში ბოლშევიკებმა დიდი მანიფესტაცია გამართეს და მოითხოვდენ, მმართველობა საჩქაროდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელში გადავიდესო.

### შ ი მ შ ი ლ ი.

რუსეთის ქალაქებში პურის საცხობების წინ კვლავ გაჩნდა გრძელი კუდები. სურსათ სანოვაგის კრიზისი ბოლო დროს მეტად საგრძნობი შეიქმნა. პეტროგრადში 14 ივნისს გირვანქა პურში 60 კაპ. აძლევდენ.

### თვით-გასამართლება.

სარატოვში შეიპყრეს რამდენიმე მავნე პირი და სიკვდილით დასაჯეს.

### ძლიერი სიცხეები.

ციმბირში ძლიერი სიცხეებია, რის გამოც შეუძლებელი ხდება ხორბლის გამოზიდვა. გვალვამ გააფუჭა კომბოსტო და სხვა ბოსტნეულობა და ჭირნახული.

### რუსეთი და ფინეთი.

უკანასკნელ დროს რუსეთ-ფინეთის ურთიერთობა მეტად გამწვავდა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ფინეთს 700 მილიონ მარკის სესხათ მიცემა მოსთხოვა. ფინეთის სეიმმა ჯერჯერობით უარი განაცხადა. ამას გარდა კიდევ ფინეთის მრეწველთა კომისია უარს ამბობს, რომ ქაღალდი რუსეთში გამოზიდოს. თუ ფინეთმა ხსენებული ფული არ ასესხა რუსეთს, მაშინ ფინეთში მყოფი რუსის ჯარისკაცები და სხვა მოხელენი ჯამაგირს ვერ მიიღებენ. პეტროგრადში დიდათ უკმაყოფილონი არიან ფინეთისა..

„მალენკაია გაზეტა“ სწერს: „ფინეთის ქცევა სრულ დამოუკიდებელ და მეტოქეობის გამწვევ სახელმწიფოს უფრო წააგავს, ვიდრე რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ხალხსა საჭიროა ენერგიული ზომების მიღება. რათა სახელმწიფოს ბჭე არ დაიშალოს.“

სტოკჰოლმში ფინელმა სოც.-დემ. ოოკემ რუს ჟურნალისტებს განუცხადა: „საწყალი რა არის? რუსეთის მთავრობა რატომ ფინურ ფულით არ დააკმაყოფილებს ფინეთში მყოფს თავის მოხელეებს? რათ უნდათ უსათუოდ, რომ ფინეთმა დაახურდავოს რუსული ფულიო?

### შავი ჭირი.

ურალის ოლქში როგორც გაზ. „უტრო“ როსია იუწყება შავი ჭირი გაჩენილა. შავი ჭირი მახლობელ მაზრებშიაც გადადის.

### მოსკოვში ფასები მატულობს.

იმ ახალი ხარჯების ღასაფარავად, რომელიც გამოწვეულია ქალაქის მოსამსახურეთათვის ფასების მომატებით, ფასები ემატება ტრამვაით მიმოსვლას, წყლისა და გაზის ხარჯვას. ორი შაურის მაგივრად ტრამვაის ბილეთი ერთ აბაზად ეღირება. 100 ვედრო წყალზე 16 კაპეიკის მაგივრად მოქალაქეს გადახდება 35 კაპიკი. კანალიზაციის გადასახადი 12% მატულობს, ხოლო 100 კუბიკური ფუტი გაზი 7 მანეთი ეღირება.

### ბრბოს თავდასხმა მღვდელზე და გიმნაზიელ ქალებზე.

საარჩევნო აზარტმა ასტრახანში ხალხი გაიტაცა. სოციალისტებისა და მუსულმანების გარდა, ყველას საარჩევნო სიებს გლეჯენ.

სიკვდილის მუქარით დანარჩენ პარტიათა აგიტატორებს სდევნიან. ბრბომ დაიჭირა კადეტების საგიტაციო ფურცლების დამტარებელი მღვდელი და გიმნაზიელი ქალები მღვდელმა მოუფიქრებელი სიტყვა წამოისროლა, რისთვისაც ბრბომ გადასწყვიტა მისი და გიმნაზიელი ქალების მოკვლა. ამათ ეცენ მიმავალ შეიარაღებულ ჯარის კაცებს თავის დასახსნელად, მაგრამ ბრბომ აქაც შეეცადა მათს გაგლეჯას. ჯარის კაცთა საბჭო და გარნიზონის უფროსი თავდავიწყებით იცავდა უბედურთ ბრბოსაგან რამოდენიმე საათის განმავლობაში. ბრბომ ალყა შემოარტყა ყაზახებს, სალდათთა საბჭოს, ემუქრებოდა ამათ და არ აძლევდა ნებას დატყვევებულნი ჰაუპტვახტში გადაეყვანათ. მსროლელი რაზმი გვერდით ამოუდგა აკანკალებულ მღვდელს და შიშისაგან მოცახცახე ქალიშვილებს. ბრბო გაჰყვიროდა და ღრიალობდა! მოგვეცით მაგენი აქ! აკუწეთ ნაჭრა-ნაჭრათ. მიეშველა მცველებთ კიდევ 100 ცხენოსანი ყაზახი და ერთი როტა ქვეითი ჯარისა, მაგრამ ბრბო თანდათან მხეცდებოდა. ჯარისკაცთა საბჭომ შეჰპირდა ბრბოს, რომ მღვდელს პასუხისგებაში მისცემს. მოდის ახალი ხიშტიანი როტები, რამაც იხსნა განწირულთა სიცოცხლე. ბრბო ბურჟუებს სიკვდილითა და აწიოკებით ემუქრება. არჩევნები გადიდევა.

# უ ც ხ ო ე თ ი.

### კროპოტკინის წერილი.

ფრანგულ გაზეთ „ლეტან ნუვო“-ში მოთავსებულია კროპოტკინის ღია ბარათი, სადაც ის დასავლეთ ევროპის მუშებს მოუწოდებს, რომ მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ თავიანთ მთავრობის ყოველ ცდას დაპყრობითი მიზნით მეზობელთა ტერიტორიის დაპყრობისას მუშებმა ასეთი ტერიტორიები იარაღით ხელში უნდა დაიცვან.

კროპოტკინი აღნიშნავს, რომ ეხლანდელ საბედისწერო ჟამს შეიძლება მთელი კაცობრიობისათვის მეტად სამწუხარო შედეგები მოჰყვეს და მოუწოდებს მუშებს, ძალდატანებით შეაწყვეტინონ ომი მათ, ვინც სისხლის ღვრა პირველად დაიწყო.

წერილი შემდეგი სიტყვებით ბოლოვდება.

„მიუცილებლად საჭიროა იარაღის ძალით დავუმტკიცოთ გერმანელს ერს, რომ მან ხელი აიღოს მოულოდნელის თავდასხმით დაპყრობილ ტერიტორიებზე, რომლებსაც ის საბოლოო გამარჯვებით ვერ შეინარჩუნებს. არსებობს მხოლოდ ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი: უკანასკნელი ძალღონე, უნდა მოვიკრიფოთ, რათა დავარწმუნოთ გერმანელები, რომ მათი ომში ჩათრევით მათმავე ხელმძღვანელებმა მთელ კაცობრიობის საწინააღმდეგო ბოროტ მოქმედება ჩაიდინეს“.

### სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმის კონფერენცია მოულოდნელად გადაიდვა შემდეგისათვის, რადგან ფრანგმა სოციალისტებმა ვერ მოასწრეს ჩამოსვლა.

ივნისის 17 ს პეტროგრადიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები. სტოკჰოლმიდან ინგლისსა, საფრანგეთსა იტალიეთში გაიგზავნა დელეგატები. გაგზავნის მიზანია, რომ დელეგატები მოელაპარაკონ მოკავშირე სახელმწიფოთა სოციალისტებს, რათა შეუდგნენ კონფერენციის ახლო მომავალში მოწვევს.

# საზარელ მკვლელობის გამო.

საშინელი ამბავი მომხდარა ს. მუხურაში როგორც გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ მე 52 ნუმერში იყო დაწვრილებითი ცნობა მოყვანილი, ხსენებული სოფლის მკვიდრნი მოხუცი ცოლქმარი მოუკლავს მათსვე შვილ რაჟდენ აბესაძეს.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ასეთი საზარელი მკვლელობა თანდათან ხშირდება ჩვენში. საუბედუროდ, ასეთი საზიზღარი მოვლენის პირველი მსმენელი არა ვარ. გასულ წელს ს. სალხინოში (ქუთ. მაზრა) ერთ-ერთმა ვაჟბატონმა თავის საკბილოისთვის უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს მოხუცი სიდედრ-სიმამრი, რისთვისაც ხალხმა იგი კიდეც შეიპყრო და გადასცა, სადაც ჯერ იყო. მაგრამ ძველი მთავრობის წყალობით ისევ განთავისუფლდა და დღეს არხეინად ცხოვრობს განსვენებულის სამყოფ-საბადებელზე. ასეთივე მაგალითის მსმენელი ვიყავი ამას წინად ერთ-ერთ სოფელში, მაგრამ მკვლელი სრულიად უსამართლოდ იქაც განთავისუფლებულ იქმნა.

როგორც სჩანს, ძლიერი შეღავათი ეძლეოდათ ძველი მთავრობის წყალობით მშობლების მკვლეთა, რამაც წაათამამა ზოგიერთი ვაჟბატონი თავისი საკუთარი კუჭის დასაკმაყოფილებლად. მოხუცი მშობლები უდროოდ გამოასალმოს წუთი სოფელს.

დიახ, ასეთი მოვლენა უკუღმართ საქციელს უნდა მივაწეროთ.

მაგრამ დღეს კი სოფლის აღმ. კომიტეტების უდიდეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხსენებული ვაჟბატონები ეგრე თავისუფლად დათარეშობენ.

აღმზრდელ დედისა და მამის მკვლელი განა სხვას დაინდობს? დღევანდელი ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა და სხვა ასეთი, რაც ჩვენს სოფლებში საშიშ ხასიათს ღებულობს, სწორეთ ასეთი პირების წყალობითაა გამოწვეული. დაუყონებლივ უნდა იქმნას რადიკალური ზომები მიღებული მათ ასალაგმავათ. უნდა ვიცოდეთ, რომ სანამ ასეთი საშიშ პირებისაგან არ განთავისუფლდება ჩვენი სოფლები, მანამ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ არავითარი გაფრთხილება, შიში ან დაპირება მათზე არ გსჭრის და ცდა ამაოთ ჩაიარს. უნდა ვეცადოთ, რომ მათი გასამართლებით სხვას მაგალითი ვაჩვენოთ, რათა ასეთ ამაღელვებელ მოვლენებს ჩვენში ადგილი აღარ ექმნეს თორემ რასა ჰკავს დღევანდელი ჩვენი სოფლები, ყაჩაღისა თუ რომელიმე ბოროტგამზრახველის წყალობით ხალხს თავისუფლად ვერც კი გაუვლია?

ი. საჩინოელი.

### ქუთაისის აბანოების ვითარება.

ამ ჟამად აბანოების საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მეაბანოვები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ აბანოს სისუფთავეს. თითქმის ყოველ კუთხეში ყრია პაპიროსების ნაწვავები და ათასგვარი ნაგავი. ამას გარდა ვანებს წმენდენ ბინძური ტილოთი და ცოცხებით, რომლებსაც, ერთდა იმავე დროს ხმარობენ იატაკის საწმენდათ. რაც შეეხება ცალკე ოთახების ფასს, ზოგიერთი ასეთი ოთახი 1 მან. 50კ., 1—80კ. და მეტი ღირს ისიც ერთ განსაკუთრებულ პირობით, რომ თითო ოთახში უსათუოდ ორმა უნდა იბანოს და, თუ მათ ბავშვები ყავთ, ყოველ ბავშვზე განსაკუთრებული ფასი (30კ) უნდა გადაიხადონ. საჭიროა ასეთ არა ნორმალურ პირობებს და უსუფთაობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქუთ. სასანიტარო განყოფილების გამგეებმა.

შ. ჯი—ძე.

# მოწერილი ამბები.

**ძირულა.** (შორაპნის მაზრა). აქ არსებობს ყოველგვარი დაწესებულება, მაგ. ორ კლასიანი სასწავლებელი, სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება, აფთიაქი, საფოსტო განყოფილება და სხვა...

ერთი სიტყვით, რაც შეეხება ასეთ პატარა დაბას-აღარაფერი აკლია, მაგრამ, მაგარი და სამწუხარო ის არის რომ, როგორც ყოველგან და ყოველ დროს გვჩვევია ჩვენ, ქართველებს, პირად ინტერესებს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე საზოგადო საქმის გაუმჯობესობას და ამ რიგათ მოურიდებლათ და დაუკვირვებლათ ძირს უთხრით ჩვენს კულტურას... 1916 წლამდის ხსენებული ძირულის დაწესებულებანი ძალიან მკვიდრ ნიადაგზე იყვნენ დამდგარნი და საზოგადოებასაც დიდ სარგებლობას აძლევდენ; დამაარსებელნი არაფერს არ ზოგავდენ, რომ თავი არ შეერცხვინათ და საქმე გაუმჯობესობისა და უმაღლესი პროგრესის წერტილამდე მიეყვანათ. მაგრამ სიხარბემ და, აღვირ-ახსნილ თავმოყვარეობით გაჟღენთილმა ბოროტებამ აქაც იჩინა თავი და ძირულის ნორჩი დაწესებულებების ბედიღბალი ლამის არის უკიდურესობამდის მიიყვანა... 1916 წელში გაჩნდა ვიღაცა ცრუ კორესპონდენტი, „ძირულელის“, „ილმელის“, „წეველის“ და სხვა ფსევდონიმებს ამოფარებული, და თბილისის ყოველდღიურ გაზეთების ფურცლებზე („სახალხო“ „აზრი“ და სხვა.) ათასგვარი სიყალბე მოათავსა ძირულის დაწესებულების მესვეურთა ვითომდა უმოქმედობის შესახებ... მიუხედავათ იმისა, რომ ძირულის ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ბნელი ძალების დროსაც ერთ საუკეთესო პირველ დაწყებით ეროვნულ საგანმანათლებლო პუნქტს წარმოადგენდა შორაპნის მაზრის რაიონში, რაიცა გამოიხატება იმაში, რომ ყოველ წელს ორსამხელ აქ იმართებოდა ამავე სკოლის მოწაფე ქალ-ვაჟის მონაწილეობით ქართული სალიტერატურო და სასიმღერო საღამოები და სადაც, სხვა სავალდებულო საგნებს გარდა, უპირველესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ქართული გრამატიკის, ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის და გალობის სწავლებას, როგორც მე ნათლათ და ჭეშმარიტათ შემიძლია დავამტკიცო, —ხსენებულმა ურცხვმა კორესპონდენტმა მიწასთან გაასწორა იგი: ჯერ გარუსების [illegible] ხადა... ძირულის სამკითხველოს გამგეობას, რომელსაც მშვენივრათ ჰქონდა დაყენებული ამ დაწესებულების საქმე და რომელიც, წარმოიდგინეთ, თავის საკუთარ ფულსაც კი არ იზოგავდა, რომ სამკითხველოს რაიმე ჟურნალ-გაზეთი არ დაკლებოდა-ფულის გაფლანგვა დასწამა და სამკითხველო გამგეობის უმოქმედობისა გამო დახურულათ გამოაცხადა... ამგვარად გაუმასპინძლდა ძირულის კოოპერატიულ დუქნის გამგეობას და ნაცვლათ იმისა, რომ აღეარებინა, რომ ამ ამხანაგობამ 1916 წელში 5000 მანეთი წმინდა მოგება დასტოვა—იგი გაკოტრებულათ და დახურულათ გამოაცხადა... ასეთი დათვური სამსახური გაუწია ამ პიროვნებამ ძირულის სხვა დაწესებულებებსაც... და დაჰკრა თუ არა გაზაფხულის განმათავისუფლებელმა ზარმა იგიც დადუმდა და აღარაფერს აღარ სწერს, ხოლო მისმა ასეთმა მოქმედებამ, რადგან ხსენებული დაწესებულებების გამგეები პასუხს არ აძლევდენ-რადგან მათი პასუხი თავის ქებას გამოხატავდა და სხვა კი ხმას არ იღებდა-იმდენათ გასჭრა, რომ მათ თავიანთ სამსახურს გული აუცრუეს და ბევრმა თავიც გაანება, რის გამოც ეს დაწესებულებანი მართლაც უენერგიოთ უკან იხევენ...

დრო არის ახლა მაინც ძირულის ინტელიგენციამ ასეთი პიროვნების კვალს მიაგნოს და მას, სადაც ჯერ არს, შესაფერი ანგარიში გაუწიოს.

დიახ დროა, დრო!!.

ყარყარა.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ზ. კვირკელია.

# ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

# რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | - საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან საავარაკო | დღის | 2 ს. 48 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | - დილის | 11 ს. | — „ |
| „ | - ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |
| ბათუმისაკენ საავარაკო | დღის | 3 ს. 16 | წ. |


## თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

### განცხადება.

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია **„ჩვენი ახალი მწერლობა“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა **„ია ეკალაძე. მოთხრობები“**, წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში